



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1626
15/03/2018

1626-09-2-201803151606



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

განსახილველად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და მასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის 2018 წლის 9 მარტის მოხსენებით ბარათს.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული და სოციალური და ჯანდაცვის სამსახურების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის თამარ ფირცხალაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 273
09/03/2018

273-09-3-201803091545



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის
უფროსის თამარ ფირცხალაიშვილის
მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 მარტის N246 ბრძანებით შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით გამგეობის სათათბირო ორგანო (საბჭო), რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „პროგრესის ვექტორის“ დამფუძნებლები. (თავმჯდომარე მარინა ნუცუბიძე; წევრი ლომინ თოფურია)

საბჭო ჩამოყალიბებული იყო შემდეგი შემადგენლობით:

ნუგზარ ცინცაძე - საბჭოს უფროსი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

საბჭოს წევრები:

თამარ ფირცხალაიშვილი - საბჭოს წევრი- სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი;

ქეთევან ებრალიძე --საბჭოს წევრი-სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების და კულტურის განყოფილების უფროსი;

ლევან ჩხაიძე -- საბჭოს წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

მარინა ნუცუბიძე- საბჭოს წევრი- ა(ა)იპ ახალგაზრდული ორგანიზაცია „პროგრესის ვექტორის“ დამფუძნებელი;

ნიკა ზენაიშვილი- საბჭოს წევრი- ა(ა)იპ საგარეო ეკონომიკური კავშირთა დეპარტამენტის,

ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის“ სპეციალისტი;

პაატა ურუშაძე- საბჭოს წევრი- -სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი;

ნინო მშვიდლობაძე - საბჭოს წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

საბჭოს მუშაობის პროცესში განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ტეროტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებების და სხვა საჯარო სარგებლობის შენობა-ნაგებობების ხელმისაწვდომობის საკითხები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოების, წარმოებისას შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის საკითხები. არაადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხები.


მუნიციპალიტეტის მიერ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. არაფორმალური განათლების მიღება, სპეციალური გადამზადება და შემეცნებითი აქტივობების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები: 3 დეკემბერს მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 14 ივნისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე საქართველოში; ასევე გურიის რეგიონში შშმ პირთათვის გამართულ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დაფინანსდა მათი ტრანსპორტირების ხარჯები და საჩუქრები და სხვა ღონისძიებები.

საბჭოს მიერ მომზადებულ იქნა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის და დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადებები ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გათვალისწინებული იქნა კერძოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 4 ობიექტზე მოეწყო პანდუსები, ასევე შეძენილ იქნა ერთი მოძრავი პანდუსი. 2016 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც გათვალისწინებულია შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. ა(ა)იპ პროგრესის ვექტორს დროებით სარგებლობაში გადაეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის მიერ გარემონტებული შშმ პირებისათვის ადაპტირებული ფართი მდებარე ქ. ლანჩხუთი მდინარაძის ქ. N2.

როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შეიქმნას მერიის სათათბირო ორგანო (საბჭო). სამსახურის მიერ შემუშავებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის და დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. რომელიც მორგებულია მერიის დღევანდელ სტრუქტურასთან.

გთხოვთ ზემოთაღნიშნული დადგენილების პროექტი წარუდგინოთ
საკრებულოს დასამტკიცებლად.

პატივისცემით,
თამარ ფირცხალიაშვილი



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N

2018 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე
მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „უ ქვეპუნქტის და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.თ“ ქვეპუნქტის და მეორე ნაწილისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

დანართი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე
მომუშავე საბჭოს დებულება

მუხლი 1. საბჭო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (შემდგომში - საბჭო) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში - შშმ) ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

მუხლი 2. საბჭოს სამართლებრივი საფუძვლები

საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს წევრთა შემადგენლობას და ოდენობას განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საბჭოს თავმჯდომარეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით).

3. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სოციალური საკითხების კურატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭოს შემადგენლობაში შედიან (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით):

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები;

ე) საბჭოს წევრები სათათბირო ხმის უფლებით არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მინიმუმ სამი წარმომადგენელი;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პროგრესის ვექტორის“ წარმომადგენელი;

5. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი.

6. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი.

7. საბჭოს მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 4. საბჭოს ამოცანები

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და კოორდინაცია;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას შშმ პირთა უფლებები და არ დაუშვას ამ ნიშნით მათი დისკრიმინაცია;

გ) ხელი შეუწყოს შშმ პირთა ღირსეულ თანაცხოვრებას და ამ მიზნით შეიმუშაოს წინადადებები, გეგმები და ა.შ;

დ) შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ითანამშრომლოს არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან;

ე) შეიმუშაოს წინადადებები შშმ პირებისათვის შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად;

ვ) ხელი შეუწყოს შშმ პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა ხასიათის უფლებების რეალიზებას;

ზ) ხელი შეუწყოს შშმ პირთა (მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების) მონაწილეობას იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.

მუხლი 5. საბჭოს უფლებამოსილება

1. საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) რეკომენდაციების შემუშავება შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფა შშმ პირთა ინტეგრაციის კუთხით;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შშმ პირთა საცხოვრებელი, სატრანსპორტო, საზოგადოებრივი და სხვა საკითხების გადასაჭრელად რეკომენდაციების განხილვა და მიღება;

დ) შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შშმ პირთათვის შესაბამისი სპორტის სახეობების დანერგვასა და პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ე) შშმ პირებთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;

ვ) შშმ პირებთან დაკავშირებით პირობების, არსებული ვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საკითხებისა და რეკომენდაციების შემუშავება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენა;

ზ) შშმ პირებთან დაკავშირებული პროგრამების რეალიზაციის კოორდინაცია-ზედამხედველობა (მორიტორინგი და შეფასების ანგარიშის მოსმენა);

თ) სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება (მორიგ და რიგგარეშე) სხდომებს;

ბ) წარმოადგენს საბჭოს და საბჭოს სახელით აწარმოებს მიმოწერას;

გ) აძლევს დავალებებს საბჭოს ცალკეულ წევრებს;

დ) ამტკიცებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს და სამუშაო გეგმას;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება სხდომის ოქმის სახით;

ვ) უფლებამოსილია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეზე მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება.

მუხლი 7. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

ა) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლებამოსილებას.

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.

გ) ამ დებულებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 8. საბჭოს მდივანი

საბჭოს მდივანი:

- ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომებს.
- ბ) პასუხისმგებელია საბჭოს სხდომის ოქმის სწორად და ზუსტ შედგენაზე, სხდომათა მასალების შენახვასა და დაცვაზე.
- გ) საბჭოს წევრებს წარუდგენს განსახილველი საკითხების ნუსხას.
- დ) საბჭოს მიერ განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს ურიგებს საბჭოს წევრებს და უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და დამუშავებას.
- ე) აწარმოებს საბჭოს სხდომების საოქმო დოკუმენტაციას.
- ვ) ანხორციელებს საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ და მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

1. საბჭოს წევრს უფლება აქვს:

- ა) საბჭოს სხდომაზე წამოაყენოს საკითხები და წინადადებები. მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვასა და კენჭისყრაში;
- ბ) წერილობით აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება საბჭოს სხდომაზე მიღებული წინადადებების, დასკვნისა ან რეკომენდაციისაგან;
- გ) საბჭოს გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი;
- დ) პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვას საბჭოს წევრობაზე.

2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, არ გამოტოვოს სხდომები არასაპატიო მიზეზით;
- ბ) შეასრულოს საბჭოს დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები.
- გ) საბჭოს წარუდგინოს ანგარიში მისთვის დაკისრებული დავალებების შესრულების შესახებ.

3. საბჭოს წევრებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, შეიძლება მიეცეს აცილება საკითხების განხილვაში მონაწილეობისგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდა მისი პირდაპირი ან ირიბი კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) ზედიზედ 3-ჯერ სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენა;
- გ) მის მიმართ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლა;
- დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, მხარდამჭერის მიმღებად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
- ე) შეეუწყადა საკრებულოს წევრობისა და მერიის თანამდებობის პირის უფლებამოსილება, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან;
- ვ) გარდაცვალება.

5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 10. საბჭოს საქმიანობის წარმართვა

1. საბჭოს სხდომები იმართება ორ თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.
2. საბჭოს სხდომის ორგანიზებისა და მისი მიმდინარეობის წესი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.
3. საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.
4. საბჭოს სხდომაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს საკითხი, გარდა შიდა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებისა, თუკი ასეთი წინასწარ არ არის შეტანილი საბჭოს წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში.
5. საბჭოს წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით და რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღებისას.
6. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:
 - ა) ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;
 - ბ) სხდომის დრო და ადგილი;
 - გ) სხდომის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა;
 - დ) განხილვის საკითხი;
 - ე) კენჭისყრის შედეგები;
 - ვ) მიღებული გადაწყვეტილება;
 - ზ) განსხვავებული მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
7. სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.
8. საბჭოს სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილებისას გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
9. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 11. საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა

საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების საფუძველზე იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 12. საბჭოს მიერ გაწეული ანგარიშის წარდგენა

1. საბჭო გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს წელიწადში ერთხელ. წლიური ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 20 დეკემბრისა.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ანგარიში საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, წინასწარ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2018 წლის მარტი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2018 წლის მარტამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).